საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილიურთა

ილიურთა, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი). ზ. დ. 2500 მ. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ი-ის შუაში დგას 1870 აგებული წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესია და გვიანდ. შუა საუკუნეების რამდენიმე ციხე-სახლი. მრავალი მათგანი აღდგენილი და სახეშეცვლილია.

სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ორი ხუთსართულიანი კოშკი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.